



AVVISO DI SPONSORIZZAZIONE

L'Ambasciata d'Italia in Georgia,

Premesso che

l'Italia e la Georgia vantano un'antica tradizione di interazioni culturali e sociali, elemento sul quale in gran parte si fondano l'amicizia e l'ammirazione reciproche profondamente radicate nelle società civili dei due Paesi,

si rende opportuno, considerato l'art. 29 del Decreto Presidenziale n. 54 del 1 febbraio 2010, che consente alle Ambasciate italiane di firmare Contratti di Sponsorizzazione con Istituzioni pubbliche o private italiane e straniere, e visto l'interesse manifestato da diverse imprese italiane e georgiane a partecipare ad iniziative di carattere promozionale in collaborazione con questa Ambasciata, con possibilità di promuovere la propria immagine, ragione sociale o altri elementi distintivi, di procedere alla sponsorizzazione degli eventi in occasione della **Festa della Repubblica 2025**.

Le sponsorizzazioni devono essere, come tutte le attività della Pubblica Amministrazione, volte al perseguimento di un interesse pubblico. L'art. 43 della Legge italiana numero 449 del 1997 ne individua tre: a) favorire l'innovazione dell'organizzazione amministrativa, b) realizzare maggiori economie e c) rendere una migliore qualità dei servizi. I limiti di utilizzo delle sponsorizzazioni sono i seguenti:

- devono escludere forme di conflitto di interesse tra l'attività pubblica e quella privata;
- non possono essere contrarie ai principi generali dell'ordinamento costituzionale italiano o comunque vietate dalla legge;
- non devono arrecare pregiudizio o danno all'immagine ed alle iniziative dell'Ambasciata;

Per proporre una sponsorizzazione occorre rispettare i seguenti requisiti:

1. assenza di condizioni di impossibilità a concludere accordi con la Pubblica Amministrazione e assenza di qualsiasi altra circostanza considerata dalla legge

- come pregiudizievole o restrittiva di tale capacità di negoziazione (art. 94 e seguenti del Decreto Legislativo 36/2023);
2. assenza di procedure di insolvenza o di fallimento.

Rende noto

che intende offrire ai soggetti interessati (soggetti pubblici o privati, imprese produttrici di beni e servizi, associazioni e fondazioni, raggruppamenti temporanei di impresa) la possibilità di concludere con questa Ambasciata contratti di sponsorizzazione finalizzati alla concessione di opportunità di promozione della propria immagine, ragione sociale o altri elementi distintivi in occasione degli eventi suddetti.

Art. 1 – Presentazione delle offerte di sponsorizzazione

L'offerta di sponsorizzazione da parte dei soggetti interessati potrà consistere in:

- un contributo “in natura”, con l’indicazione merceologica e numerica dei prodotti e/o servizi donati (per un valore economico massimo di 4.500 euro);
- un contributo finanziario, da versare sul conto corrente bancario dell’Ambasciata, di almeno 1.500 euro (e inferiore a 40.000 euro).

L’adesione dovrà pervenire a questa Ambasciata entro il 23 maggio 2025, ore 23:59 (*Georgian Standard Time*), compilando l’apposito formulario allegato, da inviare per posta elettronica al seguente indirizzo: primosegr.tbilisi@esteri.it.

Art. 2 – Diritto di rifiuto delle sponsorizzazioni

L’Ambasciata d’Italia a Tbilisi si riserva di rifiutare qualsiasi offerta di sponsorizzazione pervenuta dalla quale possa derivare conflitto di interessi, che possa recare pregiudizio o danno all’immagine e all’attività di questa Sede o che sia contraria ai principi generali dell’ordinamento giuridico italiano o vietato dalla legge.

Art. 3 – Valutazione delle offerte di sponsorizzazione

L’Ambasciata d’Italia a Tbilisi, valutata la richiesta di sponsorizzazione, tenendo conto del suo valore economico e della congruità rispetto all’evento, proporrà al soggetto interessato un apposito “contratto di sponsorizzazione” che acquisterà efficacia con la firma per accettazione del soggetto interessato medesimo.

Qualora da successive verifiche dovesse emergere la non veridicità del contenuto delle offerte e delle relative autocertificazioni, la ditta interessata incorrerà nelle sanzioni penali previste, decadendo immediatamente da ogni beneficio eventualmente conseguito sulla base di dichiarazioni non veritiere.

Art. 4 – Obblighi delle parti

Con la stipula del Contratto lo Sponsor s’impegna d’assumere le responsabilità, gli

adempimenti e gli oneri concordati e ad osservare le indicazioni organizzative dell'Ambasciata.


L'Ambasciata garantirà allo Sponsor visibilità proporzionata al contributo ricevuto includendone il logo nel materiale di comunicazione (inviti, banner, sito Internet, social media, comunicati, ecc.).

Art. 5 – Facoltà di recesso

È attribuita all'Ambasciata d'Italia a Tbilisi la facoltà di recesso dal Contratto in caso di messa in liquidazione, fallimento, sottoposizione a procedura concorsuale dello Sponsor.

Inoltre, è attribuita all'Ambasciata d'Italia a Tbilisi la facoltà di recesso dal Contratto per ragioni di politica estera, senza condizioni o limitazioni, e senza oneri.

L'Ambasciatore
Massimiliano D'Antuono





**სპონსორობის განაცხადი
იტალიის საელჩო საქართველოში**

გამომდინარე იქიდან, რომ

იტალიასა და საქართველოს აკავშირებთ ხანგრძლივი კულტურული და სოციალური ურთიერთობა, რომელზეც დაფუძნებულია ღრმა ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა ორი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებებს შორის,

და 2010 წლის 1 თებერვლის პრეზიდენტის №54 დეკრეტის 29-ე მუხლის გათვალისწინებით, რომელიც საშუალებას აძლევს იტალიის საელჩოებს გააფორმონ როგორც იტალიურ ისე უცხოურ საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთან სპონსორობის ხელშეკრულებები,

სხვადასხვა იტალიურმა და ქართულმა კომპანიებმა გამოხატეს ინტერესი მონაწილეობა მიიღონ საელჩოს სარეკლამო ინიციატივაში, რაც გულისხმობს ამა თუ იმ კომპანიის სახელისა თუ ლოგოს პოპულარიზაციას,

იტალიის საელჩოს საქართველოში მიზანშეწონილად მიაჩნია გამოაქვეყნოს განაცხადი თბილისში დაგეგმილი 2025 წლის იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილი წვეულების დაფინანსების თაობაზე.

სპონსორიზაცია, ისევე როგორც საჯარო ადმინისტრაციის ყველანაირი ქმედება საზოგადოებრივი ინტერესისკენ უნდა იყოს მიმართული. 1997 წლის 449-ე კანონის 43-ე მუხლის თანახმად, ასეთი სამია: ა) ადმინისტრაციული ორგანიზაციის ინოვაციების ხელშეწყობა; ბ) ეკონომიურობა; გ) მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება. განსაზღვრული ფარგლების მიხედვით “სპონსორობა”:

- გამორიცხავს საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ ფორმას;
- არ ეწინააღმდეგება იტალიის კონსტიტუციის ზოგად პრინციპებს და არ იკრძალება კანონით;
- ზიანს არ აყენებს და არ ღაბავს საელჩოს სახელსა და ინიციატივებს.

სპონსორობის შეთავაზება შეუძლია დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. თავისუფალი უნდა იყოს საჯარო ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების გაფორმების დამაბრკოლებელი გარემოებებისგან და სხვა ნებისმიერი სახის, კანონით საზიანოდ ან დამაბრკოლებლად მიჩნეული გარემოებებისგან (საკანონმდებლო დეკრეტი 36/2023 მუხლი 94)
2. უნდა იყოს გადახდისუნარიანი და მის მიმართ არ უნდა წარმოებდეს გაკოტრების პროცედურა.

აცხადებს, რომ

მზად არის, შესაძლებლობა მისცეს დაინტერესებულ პირებს (საჯარო თუ კერძო პირებს, საწარმოებსა და მომსახურების კომპანიებს, ასოციაციებსა და ფონდებს, დროებით გაერთიანებულ საწარმოებს) გააფორმონ საელჩოსთან კონტრაქტი სპონსორობის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის სახელისა და ლოგოს პოპულარიზაციას იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ წვეულებაზე.

მუხლი 1 – სპონსორობის თაობაზე წინადადებების წარდგენა

დაინტერესებულ პირთა მხრიდან სპონსორობა შეიძლება გულისხმობდეს:

- პროდუქციის გადაცემას (საჩუქრად გადასაცემი პროდუქციის ჩამონათვალისა და რაოდენობის მითითებით, მაქსიმუმ 4500 ევროს ოდენობით);
- ფინანსურ შენატანს, სულ მცირე 1.500 ევროს ოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 40.000 ევროს. თანხა უნდა გადაირიცხოს საელჩოს ანგარიშზე.

მონაწილეობის შემთხვევაში, სპონსორობის თაობაზე შევსებული მოდული, რომელიც თან ერთვის წინამდებარე შეტყობინებას, უნდა გაეგზავნოს იტალიის საელჩოს 2025 წლის 23 მაისის 23:59 სთ.მდე (საქართველოს დროით) ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: primosegr.tbilisi@esteri.it.

მუხლი 2 – სპონსორობის წინადადების არ მიღების უფლება

იტალიის საელჩო თბილისში იტოვებს უფლებას, უარი განაცხადოს დაფინანსების წინადადებაზე იმ შემთხვევაში თუ: დაფინანსებამ შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი, ზიანი მიაყენოს ან შელახოს საელჩოს სახელი ან საქმიანობა, ასევე, თუ ის ეწინააღმდეგება იტალიური კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს ან იკრძალება კანონით.

მუხლი 3 – სპონსორობის თაობაზე წინადადების განხილვა

იტალიის საელჩო თბილისში შეაფასებს სპონსორობის შეთავაზებას მისი ეკონომიკური ღირებულებისა და ღონისძიებასთან მიმართებით შესაბამისობის გათვალისწინებით, რის შემდეგ მიაწოდებს დაინტერესებულ მხარეს “კონტრაქტს სპონსორობის თაობაზე”, რომელიც შევა ძალაში დაინტერესებული მხარის ხელმოწერისთანავე.

იმ შემთხვევაში, თუ გადამოწმებისას გამოვლინდება შეთავაზებული წინადადებებისა და ავტოსერტიფიკაციით განსაზღვრული პირობების დარღვევა, დაინტერესებულ კომპანიას დაეკისრება საჯარიმო სანქციები და ჩამოერთმევა ცრუ განცხადების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შესაძლო სარგებელის გამოყენების უფლება.

მუხლი 4 – მხარეთა ვალდებულებები

ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სპონსორი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და დაიცვას საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული საელჩოს მითითებები.

საელჩო ვალდებულია უზრუნველყოს სპონსორის ხილვადობა მის მიერ შეტანილი წვლილის პროპორციულად და განათავსოს სპონსორის ლოგო საკომუნიკაციო მასალაში (მოსაწვევები, ბანერი, ვებგვერდი, სოციალური მედია, პრეს რელიზები, ა.შ.)

მუხლი 5 – შეწყვეტის უფლება

იტალიის საელჩოს თბილისში უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება „სპონსორის“ საქმიანობის შეწყვეტის, გაკოტრების და მსგავსი პროცედურების არსებობის შემთხვევაში.

იტალიის საელჩოს თბილისში ასევე აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული მიზეზებით, უპირობოდ, შეზღუდვებისა და გადასახდელის გარეშე.

ელჩი
მასიმილიანო ტ'ანტუონო